ისევ ეს “მოლდოვა”!...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “მოლდოვა” (კიშინიოვი) 1:0 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“მოლდოვა”: ვებერი, აფონინი, ლარინი, ბურდი, კოვაჩი, ბოცანი, შიმანოვიჩი, მირონოვი (შმელენკო), მარარიცა, ცინკლერი, გორშკოვი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

... შედით “მოლდოვას” მდგომარეობაში. განვლილ კვირას რომ გუნდი ასეთი თავგანწირვით და ძალების არნახული დაძაბვით იბრძოდა ჩვენს სტადიონზე და ჩემპიონობის კანდიდატს მხოლოდ “სამკვდრო-სასიცოცხლო” ბრძოლის შემდეგ დაუთმო 2 უძვირფასესი ქულა, - ეს სავსებით გასაგებია. გათამაშების ცხრილში გუნდი ბოლო ადგილზეა, ხოლო მომავლის პერსპექტივა საკმაოდ სამწუხარო აქვს: მეორე ჯგუფი.

“მოლდოვა” ყოველთვის ძნელი მეტოქე იყო ჩვენთვის და გუნდმა ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა განვლილ მატჩში, თუმცა თბილისელები ამ დღეს სრულ წესრიგზე იყვნენ და მთელი სიძლიერით თამაშობდნენ. ლაპარაკია არა მარტო გაძლიერებულ დაცვაზე, როცა მისი დაძლევა ძალზე ძნელდება ხოლმე. კიშინიოველები თავიანთი ცენტრალური ფორვარდის - ცინკლერის მეშვეობით ხშირად მეტად სახიფათო კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ და ქმნიდნენ მომენტებს, რომელთა ლიკვიდირებისთვის “დინამოს” დაცვით ხაზებს მაქსიმალური დაძაბვით უხდებოდათ ბრძოლა. რად ღირს თუნდაც ბოცანის უძლიერესი დარტყმა მეორე ტაიმში. ბურთის მოსაგერიებლად კოტრიკაძეს, რომელიც ოდნავ წინ იყო გამოსული, ურთულესი აკრობატული ნახტომის შესრულება მოუხდა.

მატჩის დაწყებიდან გასული იყო სულ ხუთიოდე წუთი და თბილისელთა შემტევი ხაზების აქტივში უკვე ითვლებოდა მრავალი კუთხურის მოწოდება და კარის აღების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა. მართალია, ბრძოლის აზარტში შესული დათუნაშვილი ხშირად ივიწყებდა ფლანგური იერიშის გაშლას, თავის უშუალო მეთვალყურე კოვაჩთან ერთად შემოდიოდა ცენტრში, რითაც ზედმეტ შეჯგუფებას ქმნიდა საჯარიმო მოედნის შუაგულში, იქ, სადაც ოპერატიული სამოქმედო სივრცე ესაჭიროებოდათ ბარქაიასა და მეტრეველს. მაგრამ შეტევას მაინც მეთოდური, ძლიერი დაწოლის ხასიათი ჰქონდა. მეორე ტაიმში, როცა დათუნაშვილმა ტაქტიკური თვალსაზრისით გამოასწორა თამაში, “მოლდოვას” კარი განუწყვეტელი შტურმის ობიექტად იქცა.

რა თქმა უნდა, ძალზე დიდი დატვირთვა გადაიტანა კიშინიოველთა დაცვამ, მაგრამ პირველი სიტყვა აქ მაინც მეკარე ვებერს ეკუთვნის. მან შესანიშნავად ითამაშა. ვებერი ნამდვილი ომგადახდილი გუშაგი იყო საკუთარი კარისა. მან ნაღდად პრემიერის როლი შეასრულა თავის გუნდში. 23 ფეხბურთელს შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 20 სექტემბრის მატჩში, მხოლოდ ვებერმა მიიღო შეფასება “5” და ეს ნიშანი სავსებით შეესაბამება მის დამსახურებას კოლექტივის წინაშე.

დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა კიშინიოველთა კარის აღებისთვის, მაგრამ “ბეტონის” დაძლევა, რომელიც საჯარიმო მოედნის ფარგლებში იყო აღმართული, შეუძლებელ საქმედ იქცა. მესხს (მას წელს ასე კარგად არ უთამაშია), მეტრეველს, იამანიძეს, გ. სიჭინავას და სხვებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მოწოდებულ იქნა

კუთხური ბურთების მთელი სერია, - გოლი კი მაინც არ ჩანდა. ტაიმი დინამოელებმა ხელმოცარული დატოვეს და საერთო დანაკარგს მიემატა ისიც, რომ პ. კაზაკოვმა 43-ე წუთზე ყურად არ იღო აშკარა დარღვევა "მოლდოვას" საჯარიმო მოედანზე კარის მახლობლად, სადაც ერთ-ერთმა მცველმა უხეშად, წინასწარი განზრახვით მოცელა გარღვევაზე გასული გ. სიჭინავა. თამაშის წესები ამ შემთხვევაში გარკვევით მიუთითებენ პენალტს, მსაჯმა კი მას გვერდი აუხვია.

გოლი, ერთადერთი და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გოლი გატანილ იქნა 53-ე წუთზე. მარჯვენა ფრთაზე წამოწყებულ შეტევაში მონაწილეობდნენ მეტრეველი, დათუნაშვილი და გ. სიჭინავა. ბურთი გადაეცა ბარქაიას, რომელიც მეტოქის მცველებით გარშემორტყმული, ოდნავ წინ გავიდა და დაასწრო კარიდან გამოსულ ვებერს - 1:0. ამ ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი და მასთან ერთად შეუნარჩუნა ჩვენს გუნდს საუკეთესო შესაძლებლობანი ჩემპიონობისთვის საბრძოლველად.

რ. ქორიძე.
"ლელო", 22 სექტემბერი, 1964 წ.